ოსმალეთის იმპერიის ქართველი ვალიდე - ბეზმიალემ სულთანი

დავით ჯიჯიეშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თურქული ენის სასწავლო ცენტრი (TÖMER)-ის ტრენერი
თურქული ენის დონის დამადგენელი გამოცდის (TYS)
ექსპერტი.
+995 579 222 934. David.digitalpro@gmail.com
ORCID: 0009-0005-5717-5981

აბსტრაქტი

ოსმალეთის უზარმაზარ იმპერიაში ქართული წარმომავლობის არაერთი პოლიტიკური მოღვაწე გვხვდება. მათ შორის, განსაკუთრებით, გამოირჩევა რამდენიმე ქალბატონი, რომლებმაც თავიანთი კვალი დააჩნიეს არა მხოლოდ სულთნის სასახლეში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, არამედ ნათელი ხსოვნა დატოვეს უბრალო ადამიანების გულებშიც. სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ ვალიდე ბეზმიალემ სულთანიც, მაჰმუდ II-ის მეუღლე და აბდულ-მეჯიდ I-ის დედა, რომელიც ჯაყელთა გავლენიანი გვარის წარმომადგენელი იყო. მიუხედავად თურქულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული არაერთგვაროვანი, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი თვალსაზრისისა, რომლის თანახმადაც, მაჰმუდ II-ის მეუღლე ყივჩა-

ღად ან ყირიმის სახანოს მკვიდრად არის მიჩნეული, შემიძლია, დაბეჯითებით განვაცხადო, რომ ვალიდე სულთანი ნამდვილად ქართველი იყო. ამას ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული დიპლომატიური წერილები, რომლებიც კიდევ უფრო ამყარებს ამ ვერსიას.

აბდულ-მეჯიდის ტახტზე ასვლის პერიოდიდან ფადიშაჰის დედა აქტიურად იყო ჩართული იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა საკვანძო პრობლემის გადაჭრის პროცესში. სხვადასხვა ისტორიული წყაროსა და სამეცნიერო ნარკვევის ურთიერთშეჯერებამ ცხადყო, რომ ბეზმიალემ სულთნის მოღვაწეობა ფადიშაჰის დედის ამპლუაში ცალსახად და სწორხაზოვნად არ ფასდება. თანამედროვეები ააშკარავებდნენ ბეზმიალემ სულთნის მონაწილეობას კორუფციულ გარიგებებსა და მექრთამეობაში. თუმცა, უდავოა მისი უდიდესი წვლილი ოსმალეთის იმპერიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომლის გაუმჯობესებასაც ემსახურებოდა ბეზმიალემის მიერ დაარსებული მდიდარი საქველმოქმედო ფონდები და ორგანიზაციები. ბეზმიალემ სულთანი გულუხვად აფინანსებდა ბიბლიოთეკებს, სკოლებსა და საავადმყოფოებს. აგებდა მეჩეთებს, მინარეთებსა და შადრევნებს. ყოველივე ამან საზოგადოების ფართო ფენებში უდიდესი სიყვარული და პოპულარობა მოუტანა. ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში იგი რჩება, როგორც პოლიტიკური ფიგურა, რომლის მთელი მოღვაწეობაც გონიერებით, შორსმჭვრეტელობითა და სახელმწიფოებრივი აზროვნებით გამოირჩევა. დედა სულთნის მთელი ფინანსური რესურსი ქვეყნის აღმშენებლობას, წინსვლასა და განვითარებას მოხმარდა.

საკვანძო სიტყვები: ოსმალეთის იმპერიის ისტორია, ვალიდე სულთანი, ქალთა სასულთნო, ვალიდე ბეზმიალემ სულთანი, სულთან მაჰმუდ II, სულთან აბდულ-მეჯიდ I.

შესავალი

წინამდებარე სტატიის მიზანია წარმოაჩინოს ოსმალეთის იმპერიის ქართული წარმომავლობის ვალიდე სულთნის, მაჰმუდ II-ის მეუღლისა და სულთან აბდულ-მეჯიდ I-ის დედის, ვალიდე ბეზმიალემ სულთნის ცხოვრების ძირითადი ასპექტები და მოღვაწეობის მნიშვნელობა ოსმალეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. აგრეთვე, მკითხველს გააცნოს და სამეცნიერო საზოგადოებას შეახსენოს ამ პერიოდის ოსმალეთის ისტორიის საკვანძო საკითხები, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები და მისწრაფება ევროპული სტილისა და გემოვნების დამკვიდრებისკენ. წარმოდგენილი მასალა გაცნობითი და ინფორმაციული ხასიათისაა. იგი, ერთგვარად, ამთლიანებს თანამედროვე პერიოდამდე აღნიშნული საკითხების შესახებ არსებულ ცოდნას.

მეთოდი

წინამდებარე სტატია ეფუძნება ისტორიულ მეცნიერებასა და თურქოლოგიაში აღიარებულ კვლევის მეთოდებს. ნაშრომში გამოყენებულია ფართოდ ცნობილი და მიღებული ისეთი კვლევითი მეთოდები, როგორებიცაა : ისტორიული ანალიზი, შედარებითი ანალიზი, სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემთა ურთიერთშეჯერება, მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა და დისკურსის ანალიზი. სტატიაზე მუშაობის პერიოდში შესწავლილია და თარგმნილია თურქულ ენაზე არსებული ავტორიტეტული, სამეცნიერო წრეებში გაზიარებული სპეციალური ლიტერატურა, წარმოებულია საბიბლიოთეკო კვლევა-ძიება, რათა გაანალიზებულიყო საკვლევი თემის სხვადასხვა ასპექტი, რომლებიც გაამთლიანებდა და ობიქეტურად წარმოაჩენდა ვალიდე ბეზმიალემ სულთნის მოღვაწეობის დადებით და უარყოფით მხარეებს ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში.

ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში მრავალი ქართველის კვალი იძებნება. ბედისწერამ თუ მოვლენების ლოგიკურმა განვ-

ითარებამ მათ უზარმაზარი სახელმწიფოს მართვაში მნიშვნელოვანი როლი დააკისრა. საგულისხმოა, რომ „ტყვეთა სყიდვა“, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქართული სამეფო-სამთავროების უდიდეს პრობლემად და ეროვნულ ტრაგედიად იქცა, მეორე მხრივ, შანსს აძლევდა ქართული წარმომავლობის ადამიანებს, უცხო გარემოში არ დაკარგულიყვნენ და რეალიზებულიყვნენ. საინტერესოა, აღვნიშნოთ, რომ ასეთ იღბლიან ქართველთა შორის, რომლებიც დროთა და მოვლენათა მიმდინარეობისას არ ჩაიკარგნენ, რამდენიმე ქალბატონიც მოიაზრება. მათ შორის ერთ-ერთი, განსაკუთრებული, ადგილი უჭირავს ოსმალეთის იმპერიის სულთნის, მაჰმუდ II-ის (1785-1839წწ.) მეუღლესა და აბდულ-მეჯიდ I-ის (1823-1861წწ.) დედას, ვალიდე ბეზმიალემ სულთანს (1807-1853წწ.). (Serin S, 2019:25) იმისათვის, რომ სრულად გავიაზროთ, რამდენად მნიშვნელოვანი პერსონა გახდა ბეზმიალემ სულთანი ოსმალეთის სასულთნო კარზე, ზედმეტი არ იქნება, ავხსნათ „ვალიდე სულთნის“ ტიტულისა და ინსტიტუციის არსი. ეს იყო ოფიციალური სტატუსი, რომელსაც ოსმალეთის იმპერიის სულთანთა დედები XVI საუკუნიდან ატარებდნენ. პირველი ვალიდე სულთანი სულეიმან I-ის (1494-1566 წწ.) დედა, ვალიდე აიშე-ჰაფსა სულთანი (1478-1534წწ.), იყო. მიიჩნევა, რომ სწორედ ამ ტიტულის დამკვიდრებამ განაპირობა სულთნის დედის, როგორც პოლიტიკური ფიგურის, გავლენის გაძლიერება და საფუძველი ჩაუყარა ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთ გამორჩეულ პერიოდს, რომელიც „ქალთა სასულთნოდ“ (1550-1656წწ.) მოიხსენიება. (Terzi A, 2018: 15-17) საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში გამოირჩა რამდენიმე ვალიდე სულთანი, რომლებმაც ოსმალეთის ისტორიაში თავიანთი წარუშლელი კვალი დატოვეს. მათ შორის აღსანიშნავია სულთან მურად III-ის (1546-1595წწ.) დედა, ვალიდე აფიფე ნურბანუ სულთანი (გარდ. 1583წ.), სულთან მეჰმედ III-ის (1566-

1603წწ.) დედა, ვალიდე საფიე სულთანი (1550-1605წწ.), სულთან მურად IV-ისა (1612-1640წწ.) და სულთან იბრაჰიმ I-ის (1615-1648წწ.) დედა, ასევე სულთან მეჰმედ IV-ის (1642-1693წწ.) ბებია, ვალიდე მაჰფეიქერ ქიოსემ სულთანი (გარდ. 1651წ.) და სულთან მეჰმედ IV-ის დედა, ვალიდე თურჰან ჰატიჯე სულთანი (1627-1683წწ.). (Göçer K, 2014:23-25)ზოგიერთი მეცნიერი ამ ჩამონათვალს მიაკუთვნებს სულთან სულეიმან I-ის (1494-1566წწ.) კანონიერ მეუღლეს, ჰასექ ჰიურემ სულთანსაც (1502-1558წწ.), თუმცა ოსმალეთის ისტორიის მკვლევართა გარკვეული ნაწილი ამ მოსაზრებას არ იზიარებს, რადგან ჰიურემ სულთანი თავისი ვაჟის, სულთან სელიმ II-ის (1524-1574წწ.), ტახტზე ასვლას არ მოსწრებია, რის გამოც ოფიციალურად ვალიდე სულთნის ტიტული არ მინიჭებია. (Terzi A, 2018: 25-28) მართალია, XIX საუკუნის I ნახევრისთვის სულთანთა დედები პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ვეღარ მონაწილეობდნენ, მაგრამ ბეზმიალემ სულთანმა თავისი გონიერებისა და პოლიტიკური ალღოს წყალობით მოახერხა, მნიშვნელოვანი გავლენა მოეპოვებინა სასულთნოს კარზე. ამ ქალბატონის შესახებ არსებული ცნობები ძირითადად მისი შვილის, სულთან აბდულ-მეჯიდ I-ის, მმართველობის პერიოდს განეკუთვნება, რაც გამოწვეულია მისი, ვალიდე სულთნის, მიმართ მზარდი საზოგადოებრივი დაინტერესებით. (Kırpık, C, 2018: 53-55) სწორედ ოფიციალურმა სტატუსმა განაპირობა ბეზმიალემის გააქტიურება პოლიტიკურ ასპარეზზეც. ისტორიკოსები აღნიშნავენ იმ ცვლილებას, რომელიც ვალიდე სულთნის ცხოვრების სტილსა და ხარისხზე აისახა. ფადიშაჰის დედამ მალევე გამოავლინა სწრაფვა ფუფუნებისაკენ. იგი ინტერესდებოდა ევროპაში გავრცელებული სიახლეებით და ცდილობდა, ისინი სულთნის სასახლეშიც დაემკვიდრებინა. ბეზმიალემ სულთნის მოღვაწეობის პერიოდს გამოარჩევს მექრთამეობისა და კორუფციის ცხოვრების ნორმად ქცევაც.

(Yıldız, A. 2018:24-25) თუმცა ამ ქალბატონის პიროვნული პორ-ტრეტი სრული ვერ იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ სიყვარ-ულსა და პატივისცემას, რომელსაც ხალხი მისდამი ავლენდა. ამ დამოკიდებულებას განაპირობებდა ბეზმიალემ სულთნის საქვ-ელმოქმედო საქმიანობა. ცნობილია, რომ შეჭირვებული მოსახ-ლეობის დასახმარებლად ვალიდე სულთანმა რამდენიმე ფონდი დააარსა. სწორედ მისი ძალისხმევით, აშენდა არაერთი სკოლა, საავადმყოფო, მეჩეთი. აიგო ხიდი და დაფუძნდა მისივე სახ-ელობის უმაღლესი სასწავლებელი. როცა ამ შთამბეჭდავ ჩამონა-თვალს გადავავლებთ თვალს, ვრწმუნდებით, რომ იმ 13 წლის განმავლობაში, როცა ამ საპატიო ტიტულს ატარებდა და, შესაბ-ამისად, ხელიც ბევრ რამეზე მიუწვდებოდა, ვალიდე ბეზმიალემ სულთანმა ქვეყნისთვის მრავალი სასიკეთო საქმის გაკეთება მოასწრო და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საზოგადო მოღ-ვაწის მაგალითად იქცა. მისი მტკიცე და მიზანსწრაფული ბუნ-ების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია ისიც, რომ სიცო-ცხლის ბოლო 10 წლის განმავლობაში ბეზმიალემ სულთანი ტუბერკულოზით იტანჯებოდა, რომელიც იმ დროისათვის უკურნებელ დაავადებად ითვლებოდა. ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია იმაში, რომ აქტიურად ჩართულიყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სიცოცხლის ბოლომდე ანგარიშგასაწევ პოლიტ-იკურ ფიგურად დარჩენილიყო. (Korkmaz, Ş. 2015: 25-28)

დღემდე არსებულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ვალიდე ბეზმიალემ სულთანი (1807-1853წწ.) წარმომავლობით ქართველი იყო. მეტიც, იგი განეკუთვ-ნებოდა ჯაყელთა არისტოკრატიულ ოჯახს. არსებობს დამაჯერ-ებლად დასაბუთებული ვერსიაც, რომ მომავალი ვალიდე ახა-ლციხის ფაშის, სულეიმან ჯაყელის (1767-1769 და 1770-1791წწ.), ახლო ნათესავი იყო. ეს მოსაზრება სავსებით რეალური ჩანს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალციხე, ანუ ჩილდირის საფაშო (ასე

მოიხსენიება ეს ერთეული თურქულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში), საქართველოს კუთვნილ ტერიტორიაზე ოფიციალურად დაარსებული ოსმალური პროვინცია იყო. (Uzunçarşılı, İ, 1988:46-48) საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ ქვეყანაში მოქმედებდა კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი სქემა, რომელშიც, ოსმალებისა და ლეკების გარდა, ქართველი თავადაზნაურობაც მონაწილეობდა. ქართული სამეფო-სამთავროებიდან გატაცებული ახალგაზრდები თავდაპირველად ჩილდირის ეალეთში ჩაჰყავდათ. საუკუნეების განმავლობაში სწორედ ეს ადგილი იქცა ქართველი ტყვეების შეგროვებისა და ოსმალეთში გადაყვანის გზად. უზარაზარ იმპერიას ადამიანური რესურსი სჭირდებოდა. საქართველოდან გატაცებულ ვაჟთა ნაწილი იანიჩრებად, ულამაზესი ქართველი გოგონები კი ჰარემის ტყვეებად იქცეოდნენ. (Uzunçarşılı, İ. 1988: 58-60) ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მომავალი ფადიშაჰის დედა ჯერ ჰარემში აღმოჩნდა, სადაც ჩვეულებრივი ხარჭიდან ჯერ მაჰმუდ II-ის (1785-1839წწ.) ფავორიტად, ანუ ჰასექად, მოგვიანებით კი ახალი სულთნის, აბდულ-მეჯიდ I-ის (1823-1861წწ.) დედად, ვალიდე სულთნად და იმპერიის ერთ-ერთ გავლენიან ფიგურად იქცა. თუმცა თურქულ ისტორიოგრაფიაში ამ ვერსიას ბოლომდე არ იზიარებენ და დაუსაბუთებლად მიიჩნევენ. ზოგი მეცნიერი უფრო შორს მიდის, რადგან ჯაყელებს ყივჩაღებად მიიჩნევს და ასკვნის, რომ ბეზმიალემ სულთანიც ყივჩაღი პრინცესა იყო. (Kırpık, C. 2018:32-35) ფაქტების ასეთი ინტერპრეტაცია ამახინჯებს ისტორიულ სინამდვილეს და არასწორ შეხედულებებს ამკვიდრებს. თვლიან, რომ ჰარემში მოხვედრის შემდეგ ბეზმიალემმა შეისწავლა არა მხოლოდ ოსმალურად მეტყველება და წერა-კითხვა, არამედ გარკვეული ზოგადი განათლებაც მიიღო. თუმცა ეს განათლება მოკლებული იყო სიღრმესა და სრულყოფილებას, რაშიც გვარწმუნებს ბეზმიალემის მიერ დაწერილი

პირადი წერილები. უსწორმასწორო კალიგრაფია და უამრავი ორთოგრაფიული, სინტაქსური და სტილისტური შეცდომა სხვა დასკვნის გამოტანის საფუძველსაც იძლევა - იგი გამორიცხავს ვალიდე ბეზმიალემ სულთნის წარმომავლობის ყივჩაღურ და ყირიმულ ვერსიებს, რადგან ამ ეთნიკური კუთვნილების ადამიანთა უმეტესობამ ოსმალური მეტყველება და წერა-კითხვა კარგად იცოდა. (Göçer, K., 2014: 103-9) ზუსტად არაა ცნობილი, როგორ მოიპოვა სულთან მაჰმუდის განსაკუთრებული ნდობა და პატივისცემა ბეზმიალემ სულთანმა, მაგრამ ფაქტია, რომ 1823 წელს, მომავალი სულთნის, აბდულ-მეჯიდის, დაბადების შემდეგ, ჰასექ ბეზმიალემ სულთნის ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. მას ოფიციალურად მიენიჭა მეორე ქადინ-ეფენდის ტიტული, რაც ოსმალურად ნიშნავს „ქალბატონს“ და განაპირობებს ბეზმიალემის ცხოვრების თვისებრივად და ხარისხობრივად შეცვლას. ეს გარემოება მით უფრო მნიშვნელოვანია იმ კონტექსტში, თუ გავითვალისწინებთ, რომ მაჰმუდ II-ს ოფიციალურად უამრავი ცოლი და კიდევ უფრო მეტი ხარჭა ჰყავდა. (İnce Y, 2016:46-48) ბეზმიალემის სტატუსი და ადგილი ფადიშაჰის სამეფო კარზე კიდევ უფრო გააძლიერა იმ გარემოებამ, რომ ტუბერკულოზით დაავადებული მაჰმუდ II-ის მდგომარეობა თანდათანობით მძიმდებოდა, რაც აჩქარებდა მისი ერთადერთი მემკვიდრის, შეჰზადე (ქართ. უფლისწულ) აბდულ-მეჯიდის, ტახტზე ასვლის პროცესს. ცნობილია, რომ ბეზმიალემმა თადარიგი ჯერ კიდევ ფადიშაჰის სიცოცხლეში დაიჭირა და თანამოაზრეების შემოკრება დაიწყო, რათა ძლიერი პოლიტიკური ბირთვი და საიმედო დასაყრდენი შეექმნა.ამ სიტუაციაში მის პოლიტიკურ მოკავშირედ ჰოჯა ჰიუსრევ მეჰმედ ფაშა (1769-1855წწ.) იქცა. (Küçük C, 2002;27-30)ის იყო ოსმალეთის იმპერიის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ადმირალი და რეფორმატორი. თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში ჰუსრევ ფაშა

იმპერიის საკვანძო სამხედრო-ადმინისტრაციულ პოზიციებს იკავებდა და ოსმალეთის არმიის რეფორმირებას ჯერ კიდევ მაჰმუდ II-ის მმართველობისას ხელმძღვანელობდა. ჰუსრევ ფაშა კარგად აანალიზებდა შექმნილ ვითარებას და ცდილობდა, ფადიშაჰის გარდაცვალების შემდეგ შექმნილი სიტუაცია სათავისოდ გამოეყენებინა. მისი მთავარი პოლიტიკური მოწინააღმდეგე დიდი ვეზირი (ოსმ. ვეზირ-ი აზამი) მეჰმედ ემინ რაუფ ფაშა (1780-1860წწ.) იყო. იგი ამ პოსტს სულთან მაჰმუდის მმართველობისას ორჯერ იკავებდა და სერიოზულ კონკურენტად ითვლებოდა. 1839 წლის 1 ივლისს მაჰმუდ II გარდაიცვალა, რამაც მოვლენები დააჩქარა. (Soyşekerci, S, 2018:78-80) ჰიუსრევ ფაშამ პირველმა შეიტყო მომხდარის შესახებ და დოლმაბაჰჩეს სასახლეში აბდულ-მეჯიდი ყველა საჭირო ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად პირადად მიიყვანა. ბეზმიალემი და მისი მომხრეები ჩქარობდნენ, რადგან შიშობდნენ, რომ ტახტზე მაჰმუდ II-ის სხვა მემკვიდრე, შეჰზადე (ქართ. უფლისწული) აბდულ-აზიზი (1830-1876წწ.) ავიდოდა, რომელიც მას ფერტევნიალ სულთნისგან (1810-1883წწ.), მეხუთე ცოლისგან, შეეძინა. ვინაიდან შეჰზადე აბდულ-აზიზი ამ დროისათვის არასრულწლოვანი იყო, ბუნებრივია, ფერტევნიალ სულთანი მის რეგენტად ანუ „ნაიბე-ი სალთანათად“ გამოცხადდებოდა და ოსმალეთის იმპერიის ფაქტობრივ მმართველად იქცეოდა. (Göçer K, 2014:51-54) მართალია, მოვლენების შემდგომი განვითარების შედეგად აბდულ-აზიზი 1861-1876 წლებში, აბდულ-მეჯიდის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე მაინც ავიდა, მაგრამ 1839 წელს ბეზმიალემ სულთანმა თავის მომხრეებთან ერთად მოწინააღმდეგეებს დაასწრო და ფადიშაჰად აბდულ-მეჯიდი გამოცხადდა. (Yıldız A, 2018:91-92) ამგვარად, ახალი ფადიშაჰის დედამ ოფიციალურად მიიღო ვალიდე სულთნის ტიტული. ეს იყო იმის მყარი გარანტია, რომ ბეზმიალემ სულთნის ცხოვრებაში ახალი პოლიტ-

იკური ერა დაიწყო, რომელიც მას განუსაზღვრელ ძალაუფლებას აღუთქვამდა.

დოლმაბაჰჩეს სასახლეს ბეზმიალემ სულთნის გავლენა მალევე დაეტყო. როგორც უკვე აღინიშნა, ახალი ვალიდე ევროპული კულტურისა და ცხოვრების სტილისადმი მისწრაფებას არასოდეს მალავდა. მისი გემოვნების ჩამოყალიბებაში თავის დროზე დიდი გავლენა მოახდინა გარდაცვლილმა ფადიშაჰმაც, რომელიც თავისი რეფორმატული მმართველობით ცდილობდა, ოსმალეთის იმპერიის არმიასა და საზოგადოების ყველა სფეროში ევროპული კულტურისა და აზროვნების საუკეთესო მიღწევები დაემკვიდრებინა.ამ რეფორმებს მოიხსენიებენ, როგორც „გულ-ი ჰანე ჰათთ-ი შერიფს“. (Efe A, 2016:78-80) სწორედ ამაში გვარწმუნებს ის გარემოებაც, რომ აბდულ-მეჯიდის ტახტზე ასვლისას არ განხორციელებულა „ძმათამკველი კანონით“ (ანუ „ფათიჰას კანონით“) გათვალისწინებული უსასტიკესი აქტი- გარდაცვლილი ფადიშაჰის ყველა ვაჟის სიკვდილით დასჯა, რათა შემდგომში მათ არ გასჩენოდათ სახელმწიფო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი. აბდულ-მეჯიდი დედა სულთანმა დაარწმუნა იმაში, რომ აჯობებდა, პრობლემა უხმაუროდ მოეგვარებინათ, რადგან უფლისწულების დახოცვა იანიჩართა კორპუსის გაღიზიანებასა და იმპერიაში შეუქცევადი პროცესების განვითარებას გამოიწვევდა. (Serin S,2019:56-58) ფადიშაჰმა უფლისწულ აბდულ-აზიზს ბეგლარ-ბეგის სტატუსი მიანიჭა და იედიყულეს სასახლეში გადაიყვანა, ხოლო დედამისი, ფერტევნიალ სულთანი კი ძველ სასახლეში გაამწესა. ოფიციალური სტატუსის მიღებისთანავე ვალიდე ბეზმიალემ სულთანი აქტიურად ჩაერთო მაღალი თანამდებობის პირთა კანდიდატურების შერჩევისა და დანიშვნის პროცესში. უპირველესად იზრუნა ჰოჯა ჰიუსრევ ფაშას დიდ ვეზირად დამტკიცებაზე. ერთი მხრივ, ამით გამოხატა თავისი მადლიერება

პოლიტიკური მხარდაჭერისთვის, მეორე მხრივ კი, ჰიუსრევ ფაშა სჭირდებოდა, როგორც ერთგული და საიმედო მოკავშირე მომავალ პოლიტიკურ ბატალიებში. ბეზმიალემი, როგორც სასახლის ინტრიგებში ღრმად ჩახედული ადამიანი, არ გამორიცხავდა, რომ მისი დამარცხებული მოწინააღმდეგეები კვლავ შეეცდებოდნენ პრობლემების შექმნასა და პოლიტიკური კრიზისის ხელოვნურად გამოწვევას. ამრიგად, ჰიუსრევ ფაშამ ახალი ფადიშაჰისა და მისი დედის სრული ნდობა მოიპოვა და დიდი ვეზირის (ოსმ. ვეზირ-ი აზამის) პოსტიც დაიკავა, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი წარმატება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა, რადგან სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ, 1840 წელს, იგი კორუფციის ბრალდებით გაასამართლეს და თექირდაღში გადაასახლეს, საიდანაც მხოლოდ 1846 წელს დაბრუნდა. (Terzi A, 2018:102-9)

ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში ბეზმიალემ სულთანი გახდა რიგით მეთოთხმეტე, რომელსაც ოფიციალურად მიანიჭეს ვალიდე-სულთნის ტიტული. ამასთან, მას უწოდებდნენ „მეჰთ-ი ულია-ი სალთანათს“, რაც ოსმალურად „დიდი სულთნის რეგენტს“ ნიშნავს. გარკვეული ცვლილება შეეხო ტრადიცულ ცერემონიასაც, რადგან ბოლო 189 წლის განმავლობაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ტახტზე გარდაცვლილი მამა ვაჟიშვილმა შეცვალა.ამ პერიოდში ბეზმიალემ სულთანი საკმაოდ ახალგაზრდა, 30 წლისა, იყო.იგი პასუხისმგებლობითა და მონდომებით ეკიდებოდა თავის ვალდებულებებს. (Göçer K, 2014: 87-89) უპირველეს ყოვლისა, ეს ეხებოდა ახალი ფადიშაჰის მიერ მთელ იმპერიაში დაწყებულ რადიკალურ ცვლილებებს, რომლებსაც მეცნიერები „თანზიმათად“ მოიხსენიებენ. იგი მიზნად ისახავდა იმპერიის ყველა რგოლის მოდერნიზაციას. აბდულ-მეჯიდ I-ის მიერ დაწყებული პროცესი 1876 წლამდე გაგრძელდა, რადგან იგი მოიცავდა არა მხოლოდ სამხედრო,

არამედ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნასაც. მოსალოდნელი რეფორმების ძირითადი პრინციპები ახალმა ფადიშაჰმა საზოგადოებას ტახტზე ასვლისთანავე გააცნო. (Davison, R. H., 2010:45-48) ვინაიდან აბდულ-მეჯიდი ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო, ბეზმიალემი სახელმწიფოს მართვის საკითხებში უდიდეს როლს ასრულებდა. გარდა რჩევებისა, ვალიდე სულთანი პირად საუბრებში დაუფარავად აკრიტიკებდა შვილს და ყოველთვის გულწრფელად გამოთქვამდა საკუთარ თვალსაზრისს ყველა საკვანძო საკითხთან დაკავშირებით. ბეზმიალემ სულთანი ზრუნავდა დოლმაბაჰჩეს სასახლეში ოფიციალური მიღებებისა და ბანკეტების ორგანიზებაში. მისი მოღვაწეობის პერიოდში სასახლის ცხოვრება უფრო დახვეწილი, მრავალფეროვანი, საინტერესო და ევროპულ სტანდარტთან მიახლოებული გახდა. ფადიშაჰის დედა პასუხისმგებლობას იღებდა შვილის უსაფრთხოებაზეც. იგი საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა მმართველ სულთანს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი სახითაც იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც აბდულ-მეჯიდის ხელისუფლებას ფარულად უპირისპირდებოდნენ. ლეგენდები დადიოდა სულთნის სასახლის ფუფუნებასა და სიმდიდრეზე. მაღალი საზოგადოების ქალბატონები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უძვირფასეს სამკაულებსა და მოდურ სამოსში. ცნობილია ისიც, რომ ვალიდე ბეზმიალემ სულთანს ძალიან უყვარდა ძვირადღირებული საჩუქრები. დადიოდა ხმები მექრთამეობის შესახებაც. (Akyıldız A, 1993:46-51) ასე მაგალითად, ცნობილი არაბი ვაჭარი, ფერეჯ იუსუფი, იაფად ყიდულობდა ოქროს იმპერიის ხაზინისგან და ძვირად ყიდდა არაბეთის ნახევარკუნძულზე, რაც უკანონო საქმიანობად ითვლებოდა. იმისათვის, რომ პრობლემები აერიდებინა, იგი სოლიდურ თანხას უხდიდა არა მარტო სტამბოლის გავლენიან პირებს, არამედ თავად ვალიდე სულთანსაც. საუბრობდნენ სახელმწიფო გადასახადებთან

დაკავშირებულ მაქინაციებზეც, რომლებშიც ბეზმიალემ სულთნის კვალიც იკვეთებოდა. ასეთმა უპასუხისმგებლო და გაუაზრებელმა დამოკიდებულებამ, ბუნებრივია, დააზარალა იმპერიის ხაზინა, რეპუტაცია შეულახა სახელმწიფო მოხელეებს, ავნო იმპერიის საერთაშორისო იმიჯსაც. (Yıldız A, 2018: 39-42) მიუხედავად ზემოთქმულისა, დედა სულთანს საზოგადოების უდიდესი ნაწილი სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებოდა. წლების განმავლობაში დაგროვებული უზარმაზარი ფინანსური რესურსი ბეზმიალემ სულთანმა ქველმოქმედებას მოახმარა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან იმპერიის სხვადასხვა ნაწილში რამდენიმე ფონდი და ორგანიზაცია შექმნა, რომლებსაც კონკრეტული შემოსავლის წყაროც განუსაზღვრა, რათა ვალიდე სულთნის გარდაცვალების შემდეგაც ეარსებათ და ადამიანების დასახმარებელი რესურსი ჰქონოდათ. ცალკე საუბრის თემაა მის მიერვე წამოწყებული მშენებლობები, დაზიანებული ნაგებობების შეკეთება და რესტავრირება. (Serin S, 2019:43-45) იგი აშენებდა უფასო საავადმყოფოებს, რომლებიც აღჭურვილი იყო იმ დროისთვის არსებული საუკეთესო სამედიცინო საშუალებებით. ვალიდე ბეზმიალემ სულთანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათლების სფეროს განვითარებას. ამ მიზნით მისი ინიციატივითა და ფინანსური თანადგომით აშენდა არაერთი სკოლა, ბიბლიოთეკა, აიგო მეჩეთები და მოეწყო შადრევნები. იგი ზრუნავდა სკოლებში ტიპოგრაფიისა და ლითოგრაფიის განვითარებაზე, ბიბლიოთეკებისთვის იძენდა საჭირო წიგნებს, ყიდულობდა უნიკალურ ხელნაწერებს, რომლებითაც ამდიდრებდა წიგნად ფონდს. უცხოელები ბეზმიალემ სულთნის დაარსებულ სკოლებს პირველ თურქულ კოლეჯებად მოიხსენიებდნენ, რითაც ხაზს უსვამდნენ არა მხოლოდ გამართულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, არამედ სწავლების ხარისხსაც. ბეზმიალემ სულთნის მოღვაწეობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა.

ის იყო პირველი, ვინც დააფინანსა ე.წ. გალათას ხიდი, რომელსაც ვალიდეს ხიდსაც ეძახიან. თავისი უნიკალური აგებულების გამო მას მცურავ ხიდად აღიქვამდნენ. სწორედ ეს გარემოება განაპირობებდა ფადიშაჰის დედის უდიდეს ავტორიტეტს მთელ იმპერიაში. უბრალო ხალხი მასში კეთილშობილ, გულისხმიერ, მზრუნველ და გულუხვ ქალბატონს ხედავდა. (Göçer K, 2014: 78-82) ამ ავტორიტეტზე მიანიშნებს ისიც, რომ დღეს თურქეთის ერთ-ერთი სამედიცინო უნივერსიტეტი მის სახელს ატარებს.

ბეზმიალემ სულთნის მოღვაწეობა ფადიშაჰის დედის რანგში 13 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. ცნობილია, რომ იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაავადდა ტუბერკულოზით, თუმცა საუკეთესო ექიმების წყალობით 46 წელი იცოცხლა. მისი მდგომარეობა განსაკუთრებით 40-იანი წლების ბოლოს დამძიმდა და 1853 წლის 2 მაისს ბეშიქთაშის სასახლეში გარდაიცვალა.მისი ნეშტი იმავე დღეს გადაასვენეს დოლმაბაჰჩეს სასახლეში, რათა დაკრძალვისთვის აუცილებელი ცერემონიალისთვის მოემზადებინათ. უკანასკნელ განსასვენებელს მიჰყვებოდნენ სასულიერო წოდების წარმომადგენლები, რომლებიც ხმამაღლა კითხულობდნენ ამონარიდებს ყურანიდან. (Serin S, 2019, 80-85გვ.) სამგლოვიარო პროცესიას სტამბოლის ქუჩებში უამრავი ადამიანი ხვდებოდა, რომლებიც ცრემლებით აცილებდნენ უკანასკნელ გზაზე საყვარელ დედას. ვალიდე ბეზმიალემ სულთანი დაკრძალეს მაჰმუდ II-ის მავზოლეუმში, მეუღლის გვერდით. დედის დაკრძალვის დღეს სულთან აბდულ-მეჯიდმა 79 ათასი ქურუში გასცა, რაც იმ დროისათვის საკმაოდ სოლიდურ თანხად მიიჩნეოდა. (Yıldız A, 2018:78-81) ხაზგასასმელია ისიც, რომ ოსმალეთის იმპერიის არსებობის განმავლობაში ვალიდე-ი მუჰთერემ, დერ-ი დევლეთ ბეზმიალემ სულთანი იქცა იმ მნიშვნელოვან ფიგურად, რომელიც გამორჩეული პატივით დაკრძალეს.

ასეთი პომპეზური არცერთი ფადიშაჰის დედის დაკრძალვა არ ყოფილა. ცერემონიალს, ოსმალეთის იმპერიის საზოგადოების ყველა ფენის გარდა, უცხოელი პოლიტიკოსებიცა და სხვადასხვა ქვეყნის ელჩებიც ესწრებოდნენ.

შედეგები

წინამდებარე სტატიის არსებითი შედეგია ის, რომ წარმოაჩენს ქართული წარმომავლობის ვალიდე სულთნის, ბეზმიალემის, მოღვაწეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში. ახსნილია, გაანალიზებულია და დასაბუთებულია მისი დადებითი და უარყოფითი გავლენა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

სტატიის ფარგლებში განხორციელებული კვლევა ცხადყოფს, რომ ვალიდე ბეზმიალემ სულთანმა დიდი წვლილი შეიტანა ოსმალეთის იმპერიის განვითარებაში. იგი იყო არაერთი საქველმოქმედო ფონდისა და ორგანიზაციის დამაარსებელი, ბიბლიოთეკების, სკოლების, სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი, სხვადასხვა,პროექტის ინიციატორი და ფინანსური მხარდამჭერი, რამაც საზოგადოების პატივისცემა და აღიარება მოუტანა.

ბიბლიოგრაფია:

Serin, S.(2019). *Bezmiâlem Valide Sultan Vakfiyeleri.* İstanbul Araştırmaları Yayınları.

Göçer, K.(2014). "*Bezmiâlem Valide Sultan ve Gureba Hastanesi Vakfiyesi*". Cumhuriyet Üniversitesi İİBF Dergisi.

Terzi, A.(2018). *Bezmiâlem Valide Sultan.* Türk Tarih Kurumu Yayınları.

Uzunçarşılı, İ. H. (1988). *Osmanlı Tarihi,* Cilt V: II. Mahmud ve Tanzimat Devri. Türk Tarih Kurumu.

Küçük, C.(2002). II. *Mahmud Dönemi Osmanlı Reformları.* Diyanet Vakfı Yayınları.

İnce, Y. (2016). "*II. Mahmud Devri Reformlarının Tebaa Tarafından Algılanışı".* Osmanlı Araştırmaları Dergisi.

Soyşekerci, S. (2018). *"Sultan II. Mahmud'un Ölümü Hakkında İki İroni".* Ulakbilge Sosyal Bilimler Dergisi.

Akyıldız, A. (1993). *Tanzimat Dönemi Osmanlı Merkez Bürokrasisi.* Eren Yayınları, 1993.

Korkmaz, Ş. (2015). *"Sultan Abdülmecid'in İlk Memleket Gezisi* (26 Mayıs-12 Haziran 1844)". Belleten.

Kırpık, C.(2018). *Sultan Abdülmecid Dönemi (1839-1861).* İSAM Yayınları.

Yıldız, A. (2018). *"Sultan Abdülmecid'in Ahmed Kuddûsî ile Münasebeti".* İslam Medeniyeti Araştırmaları Dergisi, 2018.

Efe, A. (2016). *"II. Mahmud'un Mal-Mülk Sayımı: Evreşe Örneği".* Belleten.

Davison, R. H.(2010). *Osmanlı İmparatorluğu'nda Reform: II. Mahmud'dan Tanzimat'a.* (Çev. N. Akbayır). İş Bankası Kültür Yayınları.